№ 4-2/ი1886-18
"02" 11 2018 წ.

30.11.2018

დადგენილება №003845
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

02.11.2018წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მაშუკა ჯაფარიძემ განვიხილე 2018 წლის 27 ივლისის №003845 მითითება და 2018 წლის 3 სექტემბრის №003845 შემოწმების აქტი, შედგენილი მოქ. ოთარ შაველაშვილის (პირადი: №01901124594, მის: ქ. თბილისი, ვ. აბაშიძის ქ. №4, ფ. №3) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ქუჩა ვ. აბაშიძე, №4, №01.15.04.016.003.02.003 საკადასტრო კოდზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე განხორციელებულია სარეკონსტრუქციო სამუშაოები, კერძოდ ფასადებზე და შიდა ფართებში დამატებულია კონდიციონერების აგრეგატები, პაერგამწოვი მილები, ელექტრო რუკლამა და აბრა წარწერებით. შიდა ეზოს მხარეს დამატებულია ფანჯრები.

მუნიციპალური ინსპექციის მიერ, 2018 წლის 27 ივლისს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად შედგა №003845 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 10 კალენდარული დღის ვადა, განხორციელებულ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან ობიექტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სხვა თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 სექტემბრის №2855611 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, 2018 წლის 3 სექტემბერს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად შედგა №003845 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით განსაზღვრული პირობების ნაწილობრივ შესრულება, კერძოდ წარმოდგენილი იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სხვა თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4059507 11.07.2018წ. ბრძანება, რომლითაც დადასტურდა ქ. ქუჩა ვ. აბაშიძე, №4-ში არსებული შენობაზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების (კონდიციონერების, სამეთვალყურეო კამერების, სანათისა და ქარის თავზე სახრდილობლის მოწყობა) ჩატარების შესაძლებლობა.

საოქმულ საქმესთან დაკავშირებით, 2018 წლის 2 ოქტომბერს ადგილი ჰქონდა ზეპირი განხილვის სხდომა, საქმის განხილვის თაობაზე ერთობლივი წესით ეცნობა მხარეს, სხდომაზე გამოცხადდნენ მოქ. ოთარ შაველაშვილი და მისი წარმომადგენელი ბუდუ რამიშვილი (პირადობის №01027035998, მინდ. №181215478 02.10.2018წ.) რომლებმაც დადასტურეს მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება, მათვე აღნიშნეს, რომ სამშენებლო სამუშაოები ჯერ არის მის მიერ განხორციელებული, შან აღნიშნული სახით შეიძინა ობიექტი. მხარემ, ასევე განაცხადა, რომ სამსახურს ჯერ უნდა ეხელმძღვანელა 2016 წლის 27 სექტემბრის №2855611 პროექტით, ვინაიდან აღნიშნული არ არის მიღული სახლის პროექტი, არამედ არის გამაგრების პროექტი, რომელშიც არასწორად აისახა შენობანაგებობის არსებული მდგომარეობა, რაც ასევე დასტურდება ფოტომასალით, რომელიც თან ერთოდა პროექტს. ეზოს მხარეს არსებული ფანჯრის შეცვლაზე გაცემულია თანხმობა №1008287 25.11.2013წ და №938709 11.10.2013წ. გადაწყვეტილებებით. ასევე, 2016 წლის №2855611 ბრძანებით შეთანხმებული პროექტი არ შესრულებულა მხარის მიერ და მემკვიდრეობის შესახებ 52-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად არ გაცემულა მინისტრის აქტი სამუშაოების მიღების თაობაზე. გამაგრება განხორციელდა ადგილობრივი გამგეობის დაფინანსებით, მხოლოდ სახლის გარკვეულ ნაწილებში და არა იმ მხარეს, სადაც სადავო ფანჯრებია მოწყობილი.

საქმეშია, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის 2018 წლის 30 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათი, რომლითაც ირკვევა, რომ მოქ. ოთარ შაველაშვილის მიერ შესრულდა 2018 წლის 27 ივლისის №003845 მითითებით განსაზღვრული პირობები ნაწილობრივ, კერძოდ დემონტირებულია ჰაერგამწოვი მილები, ელექტრო რეკლამა და აბრა წარწერებით. შემდეგი დარღვევა „შიდა ეზოს მხარეს შეცვლილია კარ-ფანჯრების მოწყობა“-ს ნაცვლად უნდა იყოს მითითებული „შიდა ეზოს მხარეს, ფასადზე, დამატებულია ფანჯრები“, რომელი დარღვევაც არ არის გამოსწორებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოქ. ოთარ შაველაშვილის მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 44-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, ქუჩა ვ. აბაშიძე, №4, №01.15.04.016.003.02.003 საკადასტრო კოდზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე შიდა ეზოს მხარეს დამატებულია ფანჯრები.

ხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის “გ” პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 44-ე მუხლის II ნაწილით

დავადგინე:

1. მოქ. ოთარ შაველაშვილი დაჯარიმდეს 4 000 (ოთხი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ქუჩა ვ. აბაშიძე, №4, №01.15.04.016.003.02.003

ო კოდზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე ...ის მხარეს. დამატებულია ფანჯრები.

2. მოქ. ოთარ შაველაშვილს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, მოქ. ოთარ შაველაშვილს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დამრღვევს დაერიცხება საურავი დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუცხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

მ. ჯაფელი